აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 27

13 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

საზაფხულო საძოვრებზე გასული შუახევის, ხულოს და ქედის რაიონების ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგინების ბოლო ვადად განისაზღვროს 2004 წლის 15 ივნისი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ გამონაკლის შემთხვევაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების წარდგინების საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო დღისა, შექმნან საარჩევნო უბნები საზაფხულო საძოვრებზე გასული შუახევის, ხულოს და ქედის რაიონების ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

მუხლი 3. აღნიშნულ საარჩევნო უბნებში არჩევნების პროცესის უზრუნველსაყოფად შეიქმნას უმაღლესი საარჩევნო კომისიის სპეციალური ჯგუფები 5-5 წევრის შემადგენლობით;

მუხლი 4. უმაღლეს საარჩევნო კომისიის სპეცილური ჯგუფების წევრებს ნიშნავენ კანონით დადგენილი სუბიექტები კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა. თუ რომელიმე სუბიექტი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით

სპეციალური ჯგუფის შემადგენლობას დადგენილ ოდენობამდე შეავსებს პრეზიდენტის რწმუნებული კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-3 დღისა.

მუხლი 5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე